ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

დასკვნა:**დ08. 3723326001**
თარიღი:**22/11/2023**

დასკვნა

1. პრიორიტეტის ,,ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა“-ს დაფინანსება დასაგეგმი 2024 წლისთვის განსაზღვრულია 320.0 ათასი ლარით. ზრდა საანგარიშო 2023 წლის დასაწყისისათვის დაგეგმილ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს ერთ პროცენტულ პუნქტზე ოდნავ მეტს. ამასთან, პრიორიტეტის დაფინანსების ზრდა შეეხო მხოლოდ მუნიციპალიტეტის-ა(ა)იპ სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა 07 01 02).

2. ქვეპროგრამის ,,მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“ - დაფინანსება გათვალისწინებულია 80,0 ათასი ლარით, აღნიშნული ქვეპროგრამა, როგორც ეს მოცემულია მისი აღწერის ნაწილში ითვალისწინებს მეწარმეობის განვითარებისთვის რიგი აქტივობების განხორციელებას (თუმცა ქვეპროგრამის აღწერის ნაწილში არ არის მოცემული კონკრეტულად რა აქტივობების განხორციელებაზეა საუბარი), რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციას, ინოვაციების, დანერგვასა და ა.შ. 80,0 ათასი ლარი არასაკმარისია იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ბიუჯეტის ერთ-ერთი პრიორიტეტის ,,ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის“ სრულფასოვანი და ეფექტური ღონისძიებების განხორციელება.

3. ქვეპროგრამა ,,სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ თავისი არსითა და დანიშნულებით მნიშვნელოვანია. მუნიციპალიტეტის განკარგვაში არსებული რესურსული, პოტენციალის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილია აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების კონკრეტიზაცია და შესაძლებლობის ფარგლებში დაფინანსების ზრდა.

4. კომისია, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტთან მიმართებით საბოლოო პოზიციას დააფიქსირებს ბიუჯეტის კორექტირებული ვერსიის განხილვის შედეგებიდან გამომდინარე.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი